პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 24 ნოემბერი 1925 წ. | წლიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

267 (965) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 | განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ახალწვეულო! აქტიურად ჩაებმი ლენკუთხის მუშაობაში.

ახლად მოსული წითელ არმიელები ამ თავითვე უნდა ჩაებან ლენკუთხის მუშაობაში.

ლენკუთხეც ემსახურება წითელ არმიელის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, მის ლენინისტურად აღზრდას.

ამიტომაც საჭიროა, რათა ყოველი ახალწვეული გახდეს მისი მუდმივი აქტიური თანამშრომელი.

ძველმა წითელ არმიელებმა კარგად იციან ლენკუთხის მნიშვნელობა და ამოცანები. მათი მოვალეობაა ყოველივე ეს კარგად განუმარტონ და აუხსნან თავის ახალ ამხანაგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არა ყოველთვის ლენკუთხე არ ს თავის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებული.

ამის მთავარი მიზეზია, მასში მომუშავეთა რიცხვის სიმცირე. ხშირად ლენკუთხეზე ყოველ მხრივ ზრუნვა უხდება ერთ ან ორ კაცს. ასეთებია მეტნაწილად პოლიტხელები ან და კომუჯრედის მდივნები. ცხადია რამდენიც არ უნდა იზრუნოს ამ ორ კაცმა, სულ ერთია მთელი ლენკუთხის მოწყობას, მის სისტემატიურად გადახალისებას ისინი ვერ შესძლებენ.

ამის შედეგია ის, რომ ლენკუთხე უფრო თვალს იზიდავს თავისი გარეგნული სილამაზით, სხვა და სხვა პლაკატებით და სურათებით, ხოლო გონებრივი განვითარების მხრივ არაფერს არ იძლევა.

მაშასადამე საჭიროა ლენკუთხის მუშაობაში ყველამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

კომუჯრედის და პარტიულ ამხანაგებს მართებთ კარგად განუმარტონ ახალწვეულებს, თუ როგორ უნდა იმუშაონ მათ ლენკუთხეში. პარტიულებმა და ახკომკავშირელებმა ამ აქტიური მუშაობის მაგალითიც უნდა მისცენ მათ.

ლენინის კუთხეში სხვა და სხვა წრეებია. ხშირად ახლად მოსული წითელ არმიელი ერთბაშად ეწერება რამოდენიმე წრეში და ნამდვილად კი ვერც ერთში ვერ ასწრობს მუშაობას.

ასეთ გადამეტებას უნდა ერიდონ ამხანაგები. უმჯობესია ერთში ან ორ წრეში ჩაეწეროს და აქტიურად იმუშაოს, ვიდრე ყველაში ჩარიცხვა მოისურვოს და არც ერთში არაფერი არ გააკეთოს.

აქ არ უნდა დავივიწყოთ ძვირფასი ბელადის ბრძნული დარიგება „უმჯობესია ცოტა და კარგი".

ლენკუთხის თითეული მომუშავე უსათუოდ უნდა აკეთებდეს რამეს, სახელდობრ იმას, რასაც მას დაავალებს წრე, რომლის წევრად ის ითვლება.

ამრიგად ლენკუთხე მაშინ გაცხოველდება და თავის დანიშნულებას მიუახლოვდება, როცა ყველა წითელ არმიელები იზრუნებენ მასზე, ხალისიანად და ენერგიულად ჩაუდგებიან მისი წრეების მუშაობაში.

ახალწვეულო! დაუახლოვდი ლენკუთხეს!

იყავ აქტიური მონაწილე მისი მრავალ მხრივი მუშაობაში.

ლენკუთხე შენ მიგაჩვევს საზოგადოებრივ მუშაობას, მოგცემს ცოდნას და კომუნისტურ აღზრდას, რაც აუცილებელია ყოველი წითელ მეომრისათვის.

## სალამი დანიის მუშების წარმომადგენლებს.

თბილისში ჩამოვიდა დანიის მუშების დელეგაცია. ბევრი მუშათა დელეგაცია ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და კიდევ ბევრი ჩამოვა. დასავლეთის პროლეტარიატის ინტერესი მუშურ-გლეხურ ქვეყნისადმი დღითიდღე იზრდება და მატულობს. დღეს ყველას სურს ინახულოს საბჭოთა სახელმწიფოები, გაეცნოს მის ცხოვრებას, მის მუშაობას. რასაკვირველია, კაპიტალისტური ქვეყნების ყველა მუშებს არ შეუძლიათ უშუალოდ ნახონ მუშურ-გლეხური სახელმწიფო. მაგრამ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ მათ მაინც სურთ გაიგონ. ისინი აგზავნიან თავის დელეგაციებს, რომლებიც დაწვრილებით ეცნობიან ჩვენს სინამდვილეს. და ჩვენდა სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა დელეგაციები დიდ საქმეს აკეთებენ იმ ცილისწამებებისა და ჭორების გასაბათილებლად, რომლებსაც ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატების გაზეთები ავრცელებენ საბჭოთა ქვეყნის შესახებ.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზია და მენშევიკები თავის გაზეთებში ყოველდღიურად სწერდენ, რომ საბჭოთა ქვეყანაში შიმშილი, სიღარიბე და სრული არევ-დარევა სუფევსო, რომ მეურნეობა დანგრეულია, ბოლშევიკები ხვრეტენ ყველასო და სხვა.

ყოველივე ეს ცილისწამება ბურჟუაზიას და მის ლაქიებს დასჭირდათ იმიტომ, რომ ხელი აეღებინონ თავის ქვეყნის პროლეტარიატს რევოლიუციონურ ბრძოლაზე. მაგრამ მუშათა დელეგაციებმა შესძლეს კაპიტალისტების და მენშევიკების მიერ გავრცელებული ჭორების მთელი სიყალბის გამომჟღავნება. მათი პირიდან დასავლეთის პროლეტარები ტყობილობენ, რომ საბჭოთა კავშირში არაა შიმშილი და არევდარევა, არამედ მუშები და გლეხები აშენებენ ახალ სოციალისტურ წესწყობილებას, საძირკველს უყრიან კომუნიზმს. ცხადია ეს სიმართლე ამხნევებს დასავლეთის პროლეტარიატს, იზრდება მათი თანაგრძნობა და სიმპატია ჩვენი ქვეყნისადმი.

დღეს უკვე სოციალ-გამყიდველების გაზეთები ვერ ბედავენ ტყუილის და ცილისწამების წერას ჩვენს შესახებ. მათ იციან, რომ უკვე ვერ მოატყუილებენ მუშებს და იძულებული არიან სწერონ სიმართლე. ეს სიმართლე კი ჩვენ უფრო დაგვაკავშირებს დასავლეთის პროლეტარიატთან, ხოლო მასში გაზრდის რევოლიუციონურ შეგნებას და რევოლიუციონური ბრძოლის წყურვილს.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ დანიის მუშების დელეგაცია ენერგიულად შეებრძოლება თავის ქვეყანაში დაბრუნებისას იმ ტყუილსა და ცილისწამებებს, რომელსაც ჩვენს წინაალმდეგ ავრცელებენ იქაური ბურჟუაზიული და სოციალ-შემთანხმებელთა გაზეთები და მით დანიის მუშათა დელეგაცია ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის და დანიის პროლეტარიატის ძმურ დაახლოვებას.

მხურვალე სალამი დანიის მუშების წარმომადგენლებს!

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## საფრანგეთის მთავრობა გადადგა.

### პენლევეს საფინანსო—კანონპროექტი დამარცხდა

ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 278 ხმით 275 წინააღმდეგ უარჰყო საფინანსო კანონპროექტის მე-5 პარაგრაფი, რომლის ძალითაც დაწესებულებები, რომლებიც განაგებენ სახელმწიფო კრედიტებს, თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან სახაზინო მოკლევადიან ქაღალდების პატრონების წინაშე.

მთავრობა გადადგა.

## პოლონეთში შესდგა ახალი მთავრობა.

პოლონეთში შესდგა ახალი მთავრობა.

მთავრობის შემადგენლობაში შედიან: სკშინსკი,—პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი; რაშკევიჩი—შინაგან საქმეთა მინისტრი; ოსეცკი—ვაჭრობა-მრეწველობის; სტანისლავ გრაბსკი—განათლების; პომიატოვსკი—მიწათმოქმედების; რადზანი—მიწათ რეფორმების; ხადეკ—პიეხოცკი—იუსტიციის; ზდეხოვსკი—ფინანსთა მინისტრი; მოსაჩევსკი—საზოგადოებრივ სამუშაოს მინისტრი; ხონძინსკი—გზათა მინიზტრი.

სამხედრო მინისტრი ჯერ არაა დანიშნული. დროებით სამინისტროს განაგებს გენერალი მაევსკი.

## ამერიკელები წყალში ახრჩობენ და ხვრეტენ ჩინელ ჯარისკაცებს.

ამ დღეებში ამერიკის გემმა დალუპა ჩინეთის რამოდენიმე პატარა გემი, რომლებზედაც გადადიოდენ ჩინელი ჯარისკაცები მდინარე იან-ცზე-კიანგზე. ამერიკის მეზღვაურებმა სროლა აუტეხეს წყალში ჩაცვენილ ჩინელ ჯარისკაცებს და ბევრი დასჭრეს და დახოცეს. ჩინეთის ხელისუფლებამ დააკავა გემი და მოსთხოვა კომპენსაცია ამერიკის მთავრობას.

ამ შემთხვევის გამო ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცა ამერიკის საელჩოს სასტიკი პროტესტი.

## ინგლისელ კომუნისტების გასამართლება.

ინგლისის კომუნისტების გასამართლებაზე კომპარტიის მდივანმა პოლიტმა განაცხადა:

„კომუნიზმის თეორია „რუს ბოლშევიკების" მუშაობის შედეგი კი არაა, არამედ ის აგებულია ისტორიულ მიმდინარეობაზე. ჩვენი დამოკიდებულება ომის მიმართ ცხადია: ომის შემთხვევაში კომპარტია ეტყვის მუშებს: „ნუ იომებთ" როცა ჯარებს უბრძანებენ ესროლონ გაფიცულ მუშებს, ჩვენ ვეუბნებით ჯარისკაცებს: „ნუ ესვრით მუშებს!"

პოლიტმა განაცხადა, რომ არა ლენინისა და ტროცკის ნაწარმოების კითხვამ გააკომუნისტა ის, არამედ ცხოვრების პირობებმა.

## აჯანყება მთელ სირიას მოედო.

ფრანგულ გაზეთ „ლ'უმანიტეს" მოსდის წერილები, რომლებიც ადასტურებენ რომ აჯანყება მთელ სირიას მოედო.

## გერმანია და ლოკარნოს ხელშეკრულება.

გერმანიის რეიხსტახმა მიიღო წინადადება ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა და გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 46 ხმით 4 წინააღმდეგ; თავი შეიკავა სამმა.

# საბჭოთა კავშირში.

## ამხ. კრჟიჟანოვსკი დანიშნულ იქნა სსრკ-ს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.



ამხ. კრჟიჟანოვსკი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: დანიშნულ იქნას გლებ მაქსიმილიანესძე კრჟიჟანოვსკი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ.

## ამხ. კრასინის ავადმყოფობა.

ამხ. კრასინს ხანგრძლივი მძიმე მუშაობით მოქანცულობის ნიადაგზე უკანასკნელ ხანებში აღმოაჩნდა სისხლნაკლულობა და გულის კუნთების სისუსტე.

კრასინი დარჩება სამი კვირით მოსკოვში საექიმოდ, რის შემდეგ გაემგზავრება საზღვარ-გარედ.

## სამხედრო საჰაერო აკადემიის სამი წლის თავი.

გუშინ, 23 ნოემბერს შესრულდა პროფესორ ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო საჰაერო აკადემიის 3 წლის თავი.

# ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ.

კვირას, საღამოს 5 საათზე ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა დანიის მუშათა დელეგაცია, რომელშიაც შედის 18 კაცი.

სადგურზე დელეგაციას შეეგებნენ საქ. პროფ. საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, ორგანიზაციების წარმომადგენელნი და სხვები. დელეგაციას თავმჯდომარეობს ადამსენი. დელეგაციას სადგურზე მისასალმებელი სიტყვა უთხრა ამხ. ფანცხავამ.



დელეგაციის თავმჯდომარე ადამსენი.

სადგურიდან დელეგაცია გაემგზავრა სასტუმრო „სასახლის ნომრებში“, სადაც დელეგაციის საპატივცემოთ გაიმართა ამხანაგური სადილი.

**საუბარი დელეგაციის თავმჯდომარესთან.**

დელეგაციის თავმჯდომარე ადამსენმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა; „დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მდგომარეობას, მის მიღწევებს კულტურულ და ეკონომიურ ფრონტებზე და ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირისა და დანიის პროლეტარიატის მჭიდრო დაახლოვებას.

მუშათა მოძრაობის შესახებ ადამსენმა სთქვა, რომ დანიაში ჯერ კიდევ ვერაა გამოსახული ძლიერი მუშათა მოძრაობა კომპარტია იქ არსებობს ლეგალურათ და იგი ზოგიერთ საკითხებში შეთანხმებულათ გამოდის დანიის მუშათა პარტიასთან.

პროფკავშირებსა და პროფმოძრაობას ხელმძღვანელობენ უმთავრესათ სოციალ-დემოკრატები. უკანასკნელ ხანებში პროფმოძრაობას ემჩნევა მარცხნივ გადახრა და მოსალოდნელია პროფკავშირების გაერთიანებიდან გამოვიდეს რამოდენიმე კავშირი რამოდენიმე ათი ათასი წევრებით.

დანიაში განსაკუთრებით მწვავეთაა უმუშევრობის საკითხი. უმუშევრობა იქ ყოველდღე იზრდება. ამის მიზეზი ისაა, რომ მუშებს კაპიტალისტები ვერ უსრულებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, რადგანაც დანიის წარმოება საშინელ კრიზისს განიცდის. დანიაში უამრავი ინგლისური წარმოების საქონელი შემოაქვთ, რომელსაც დანიის ფაბრიკანტები ვერ უწევენ კონკურენციას. ეს კი იწვევს ზოგიერთ ფაბრიკების დახურვას და აუარებელი მუშა-ხელის ქუჩაში გამოგდებას.

**ჭორები საქართველოზე.**

პრესის წარმომადგენლების შეკითხვაზე თუ რას ამბობენ დანიაში საქართველოზე, ადამსენმა სთქვა, რომ დანიაში, ისე როგორც მთელ ევროპაში, საქართველოზე დადის მრავალი ჭორი, რომ თითქოს საქართველოში დამპყრობელები ბატონობენ და სხვა და სხვა... უკანასკნელათ საქართველოდან დაბრუნებულმა დელეგაციებმა სრულიად გაფანტეს ეს ჭორები და ეხლა დანიის მუშათა კლასს უკვე სწორი წარმოდგენა აქვს საქართველოზე და მის მდგომარეობაზე.

საშინელ ცუდ მდგომარეობაში არიან, სხვათაშორის, დანიაში რუსი თეთრგვარდიელები. ისინი ზოგნი მეჯინიბეებათ არიან, ზოგნი ბალალაიკებით დადიან ქუჩებში და სხვა.

**ტფილისის დათვალიერება.**

გუშინ დანიის მუშათა დელეგაცია ესტუმრა მთავრობას, დაათვალიერა გამასწორებელი სახლები და შეუდგა ტფილისის დათვალიერებას.

დ.

# ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

**ტფილისის გარნიზონის მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობის კრებისა**

**კ. ე. ვოროშილოვისადმი.**

21 ნოემბერს შესდგა ტფილისის გარნიზონის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის კრება, რომელზედაც გამოვიდენ მოხსენებით ამხ. ვოროშილოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სარდალი ამხ. კორკი და პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ დაადგინა გაუგზავნოს კ. ე. ვოროშილოვს შემდეგი მიმართვა:

ძვირფასო კლიმენტი ეფრემის ძევ!

ტფილისის გარნიზონის მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობის კრება გილოცავთ თქვენ წითელი არმიის ხელმძღვანელის საპასუხისმგებლო თანამდებობას.

თქვენი ოცი წლის ბრძოლა ლენინის ბოლშევიკურ პარტიის პირველ რიგებში, თქვენი დაუღალავი მუშაობა რაზმების მოწყობის საქმეში ლუგანსკსა, დონის ბასეინსა, ბაქოსა და სხვა ადგილებში, იატაკ ქვეშ მუშაობის მძიმე წლები და პარტიის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა, თქვენი ენერგიული მუშაობა წითელი არმიის პირველი რაზმების შედგენის საქმეში და სახელოვანი ბრძოლა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, თქვენი მუშაობა წითელი ცხენოსანი ნაწილების შექმნაში, რომელსაც რამოდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად, თქვენი გამოცდილი ხელმძღვანელობა ჩრდილოეთ კავკასიის ჯარებისა, ხოლო შემდეგ მოსკოვის სამხედრო ოლქის,—ყველაფერი ეს გვეუბნება, რომ წითელი არმიის ხელმძღვანელობა გამოცდილ, საიმედო ხელშია და წითელი არმიისთვის უზრუნველყოფილია შემდეგი აღზრდა ლენინიზმის საფუძველზე და მისი ბრძოლის უნარიანობის განმტკიცება.

გესალმებით თქვენ, ღირსეულო ბელადო, და აღთქმას ვსდებთ, რომ თქვენი გამოცდილი ხელმძღვანელობით გავაძლიერებთ ენერგიას წითელი არმიის პოლიტიკური შეგნებისა და საბრძოლო ძლიერების ამაღლების საქმეში.

გაუმარჯოს ზრდისა და გაძლიერების გზით მიმავალ წითელ არმიას—მშრომელთა საიმედო დასაყრდნობ მსოფლიო კონტრევოლიუციის წინაღმდეგ.

გაუმარჯოს მის ბელადს—მუშა, ბოლშევიკ-ლენინელს-ამხ. ვოროშილოვს.

კრების პრეზიდიუმი.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

**წყალსადენის გაყვანა მესტიაში (სვანეთში).**

სვანეთის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს წყალსადენი სოფ. მესტიაში.

აღნიშნული სოფელი ითვლება მთელი სვანეთის ცენტრათ და იგი სვანეთის ყველა სოფლებზე უფრო მჭიდროთაა დასახლებული. მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდის წყალის უქონლობით. სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა აქაც მიეშველოს გლეხების საჭიროებებს და შეუდგეს წყალსადენის გამოყვანას აღნიშნულ სოფელში. წყალსადენს ვარაუდით იქნება 3 ვერსი სიგრძე.

დ.

# ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲐᲮᲡᲜᲐ.

**პრემიერ-მინისტრი**—პირველი მინისტრი; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**კანონ-პროექტი**—კანონის გეგმა.

**კომპენსაცია**—ანაზღაურება ზარალის; დაკმაყოფილება.

**პროტესტი**—განცხადების წარდგენა უკანონო მოქმედების შესახებ.

**თეორია**—მოვლენების ახსნა დაკვირვებისა და გამოცდილების მიხედვით.

**რეიხსტაგი**—სახელმწიფო საბჭო, რომელიც შესდგება გერმანიის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან.

**კერამიკული ქარხანა**—ქარხანა, სადაც მზადდება თიხის ჭურჭლეულობა და სხვა ნივთები.

# ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝ, ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲔ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ.

**რა და რა გვარი იარაღის ჯარები შედიან არმიაში.**

იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ცეცხლმტყორცნი იარაღი, ბრძოლას აწარმოებდა ცხენოსანი ჯარი. მაგრამ ასეთი იარაღის შემოღების შემდეგ ქვეითი ჯარი პირველ ადგილს იჭერს.

ამ ჟამად არსებობს სამგვარი იარაღის ჯარი.

ქვეითი ჯარი შეიარაღებულია სამგვარი იარაღით: შაშხანით, თვითმომქმედი თოფით, ხელით სასროლ და დაზგის ტყვიამფრქვევით და გრანატებით; ჰყავს თავის შემადგენლობაში არტილერია (ლეგიონის ბატარეა), ბომბამტყორცნი და ნაღმ-მტყორცნი. ქვეითა ჯარს შეუძლია მოქმედება ყოველგვარ ამინდში, დღისით და ღამით. ბრძოლის მთელი სიმძიმე აწვება ქვეითა ჯარს. ის იწყებს და ამთავრებს ბრძოლას.

იქ, სადაც ქვეითა ჯარს გაუჭირდება, მას ეხმარება ცხენოსანი ჯარი, რომელიც შეიარაღებულია ცეცხლმტყორცნი და ცივი იარაღით. მაგრამ ცხენოსან ჯარს არ შეუძლია კარგად მოქმედება ტყეში, მთებზე, ჭაობში, დიდ თოვლში, ხოლო ხშირად სრულებით შეუძლებელი ხდება მათი მოქმედება.

მაგრამ ქვეითა და ცხენოსან ჯარს არ აქვთ ისეთი ძლიერი ცეცხლი, რომლის შემწეობით შეიძლებოდეს სერიოზული დაბრკოლების დაძლევა, ამას ეხმარება არტილერია, რომლის ცეცხლი ძლიერია და შორს მოქმედობს.

ეს სამი გვარი იარაღის ჯარი ერთიმეორის დამატებას წარმოადგენენ.

ამას გარდა არმიაში შედიან საკავშირო, საინჟინერო, ჯავშნოსანი ნაწილები, ავიაცია, ქიმიური ჯარები და სხვა. ყველა ჩამოთვლილი ჯარები არ არიან დამოუკიდებელი, მაგრამ ისინი ისე საჭირონი არიან არმიისთვის, როგორც მაგ. ქვეითისთვის საჭიროა არტილერია.

პ.

# ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ

დისციპლინარულ წესდებაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ სამხედრო დისციპლინა მოითხოვს ყველა სამხედრო მსახურისაგან სამხედრო საიდუმლოების შენახვას. რატომაა ეს აუცილებელი და როგორ უნდა აასრულო ის?

პირველ ყოვლისა ავხსნათ ის, თუ რას წარმოადგენს სამხედრო საიდუმლოება. სამხედრო საიდუმლოებას ჩვენ სამხედრო პირები ჩვეულებრივად ვეძახით იმას, რომ ჩვენ, თავისი ქვეყნისა და არმიის ინტერესების გულისთვის ვცდილობთ შევინახოთ საიდუმლოდ ჩვენი მეზობელ სახელმწიფოებისა და ყველა მოქალაქეებისაგან ის, რის ცოდნაც მათ არ ესაჭიროებათ, ხოლო რატომ არ გვინდა ჩვენ გავამჟღავნოდ სამხედრო საიდუმლოება?

იმიტომ, რომ ომის წარმატებით წარმოება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც აქვს დაწვრილებითი ცნობები მტრის არმიის, სამხედრო მრეწველობისა და ხალხის სულიერ განწყობილების შესახებ. თუ რომ მტრის შესახებ ასეთი ცნობები მოგეპოვება, ცხადია, ადვილია მასთან ბრძოლა, ვინაიდან უკვე გეცოდინება საიდან და როგორ მიუდგე მას. რომ საჭირო ცნობები დააგროვონ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის, ყველა ქვეყნები ღებულობენ სხვა და სხვა ზომებს ამ ცნობების მისაღებად.

ამ ცნობებს უმთავრესად აგროვებენ ჯაშუშებისა და ჟურნალ-გაზეთებზე თვალყურის დევნების საშუალებით, ხანგამოშვებით შეიძლება შეხვდე საჭირო ცნობების ნაწილს.

ეხლა ახალგაზრდა მეომრისთვის ცხადი იქნება, თუ რატომ ავალებს ჩვენი დისციპლინარული წესდება სამხედრო მსახურს არ გაამჟღავნოს სამხედრო საიდუმლოება.

ამ ჟამად, როცა ახლად მოსულ მეომრებს ჯერ კიდევ ვერ ესმით კარგად ჩვენი წესდებების ძირითადი მოთხოვნილებანი და არ გარკვეულან იმაში რაზე შეიძლება ლაპარაკი და რაზე არა, მტრის ჯაშუშებისთვის სწორედ ეხლაა ხელსაყრელი დრო.

ახალგაზრდა მეომარმა არც კი იცის სად და როგორ გაჩნდება ეს ჯაშუში. მას შეუძლია გაჩნდეს შესაკრებ წერტზე გაწვევის დროს, რკინის გზაზე, ყაზარმის ახლოს ადგილობრივ მოქალაქის სახით, მაღაზიაშიც, ქუჩაშიც, ნაცნობ მოქალაქეთა წრეშიც და, ბოლოს, თვითონაც შეეცდება მიიპატიჟოს სამხედრო მსახური ყავახანაში ან სამიკიტნოში სხვა და სხვა ფანდებით (რომ ვითომც მეც სამხედრო მსახური ვიყავი და მიყვარს სამხედრო პირები, ამიტომ გთხოვთ თითო ჭიქა ღვინო დავლიოთო და სხვა). ძნელი გასათვალისწინებელია თუ სად გამოტყვრება ჯაშუში.

ამიტომ ჩვენი დისციპლინარული წესდება გვარიგებს, რომ თვითეულ სამხედრო მსახურმა „ენა უნდა გააჩეროს“ პირში, არ უნდა ილაპარაკოს წარა-მარა და არ გაამჟღავნოს სამხედრო საიდუმლოება.

ახალგაზრდა მეომარმა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და ყოველგან და ყოველთვის ეცადოს არ ილაპარაკოს არმიის რაოდენობის, სწავლების, მეთაურებისა და წითელ არმიელების ურთიერთ დამოკიდებულებისა და სხვა ცნობების შესახებ. თუ რომ შევამჩნევთ სადმე თავმომაბეზრებელ „ვაჟბატონს“ ან „ქალბატონს“, რომელიც აგვეკვიატება და დაგვიწყებს კითხვას იმის შესახებ, რაც მას არ ეხება, მაშინვე უნდა აცნობო ამის შესახებ მეთაურს ან კომისარს.

ი. ბარ.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲑᲨᲘ

**ესტონეთის ჯავშნიან მატარებლების დაჯახება.**

უკანასკნელი საშემოდგომო მანევრები ესტონეთში დამთავრდა ერთი უბედური შემთხვევით: ორი ჯავშნოსანი მატარებლები დაეტაკენ ერთმანეთს და სრულიად დაიმსხვრნენ. სამხედრო ხელისუფლებამ ამ შემთხვევის გამოსარკვევად დანიშნა სასტიკი გამოძიება, რომელმაც გამოარკვია, რომ ამ უბედური შემთხვევაში ბრალი ედება ესტონეთის არმიის სამ ოფიცერს: მაიორ ასმუსს, კაპიტან რეიტკამს და მაიორ ლეპის. მაიორი ასმუსი არ შეეცადა მიეღო საჭირო ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ რომელი ჯავშნოსანი მატარებლით უნდა მომხდარიყო მარქაფი ჯარის გადაყვანა. კაპიტანი რეიტკამიმ კი მიუხედავად გაცემულ განკარგულებისა, არ გამოარკვია ჯავშნოსნების გაგზავნის დრო: მაიორი ელპი კი გაემგზავრა მძიმე ჯავშნოსანი მატარებლით სადგურ ელვედან, რის შესახებაც მას არ მიუღია სათანადო ნებართვა. ამ უყურადღებობის გამოისობით მოხდა აღნიშნული კატასტროფა (მსუბუქ ჯავშნოსანს უნდა მიესწრო მძიმესათვის სად. ელვაში და გაეშვა მძიმე ჯავშნოსანი). სასჯელის სახით მაიორები ასმუსი და ლეპი ჩამოქვეითებულ იქნენ კაპიტნების ხარისხზე, ხოლო კაპიტან რეიტკამს კი გადაუწყვიტეს რიგის მსახურამდე ჩამოქვეითება.

**წყალქვეშა ნავისა და ტრალერის დაჯახება.**

კალიფორნიაში, რანდიენგოს ახლოს (ამერიკა) კინაღამ კიდევ დაიღუპა ამერიკული წყალქვეშა ნავი „25“. ტაქტიკური მანევრის შესრულებისა და წყლის ზედაპირზე ამოსვლის შემდეგ, წყალქვეშა ნავი დაეჯახა ტრალერს, რომლის დროს დაკარგა ანტენა და პერისკოპი. (წყალქვეშა ნავის აუცილებელი ხელსაწყოებია) მიუხედავად ამისა წყალი მაინც არ შეჭპარვია შიგნით- ეს უცაბედი შეჯახება დამთავრდა მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებით.

# ახალწვეულებო! დაუახლოვდით ლენინის კუთხეს, მიიღეთ მის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა. ლენკუთხე დაგეხმარებათ თქვენ სამხედრო-პოლიტიკურ ცოდნის შეძენაში.

## გაზეთის მოწოდებას გამოეხმაურენ.

მე-5-თე ტერ ლეგიონი

გაზეთ „წითელ არმიელში" მოთავსებულმა მოწინავემ, რომელიც მოუწოდებდა ახალწვეულ წითელ არმიელებს რომ მიეწოდებინათ კორესპონდენციები რედაქციისათვის იმის შესახებ თუ როგორი შთაბეჭდილება იქონია მათზე წითელმა ყაზარმამ, კარანტინმა და სხვა. წერილმა 5-თე ლეგიონში ბევრი ახალწვეულები დააინტერესა და აღუძრა წერილის დაწერის სურვილი.

ამხანაგების უმრავლესობა ისეთებია, რომელთაც თავის დღეში გაზეთში წერილი არ მოუთავსებიათ და არ არიან გაცნობილი წერის ტეხნიკას, ამიტომ მოდიან ბიბლიოთეკაში და გვეკითხებიან თუ როგორ უნდა სწერონ, დაწერილ წერილს გვასწორებინებენ და სხვა.

19 ნოემბრის გაზეთ „წითელ არმიელში" მოთავსებულია 5-თე ლეგ. ახალწვეულის ი. მოსიძის წერილი შემდეგი სათაურით: „ჩემი პირველი შთაბეჭდილება წითელ ყაზარმაში" ამხანაგი მოსიძე არის მცირე მცოდნე გლეხის შვილი, წარმოუდგენელი იყო მისი აღტაცება და სიხარული, როდესაც ნახა მან თავისი წერილი გაზეთ „წითელ არმიელში". საერთოდ ლეგიონის ახალწვეულთა შორის ბევრია დაინტერესებული გაზეთის სამხკორათ გახდენ, სრულ იმედს გვაძლევს, რომ გაზ. „წითელ არმიელის" რედაქციას მე 5-თე ლეგიონში ეყოლება მრავალი საუკეთესო და აქტიური სამხკორები, ად გილობრივი სამხკორთა წრე ყოველ საშვალებებს ხმარობს მათი მუშაობაში ჩასაბმელად. შედეგები ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელია.

სამხკორი ოგანოვი.

## ყველამ მივიღოთ მონაწილეობა.

მეორე ლეგიონი.

ჩვენს ნაწილში გამოდის კედლის გაზეთი ბიურო-კოლექტივისა და არჩეულ რედკოლეგიის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელ ხანებში გაზეთი კიდევ უფრო გაფართოვდა და გაუმჯობესდა შინაარსითაც.

მაგრამ გაზეთის შევსება მასალებით რედკოლეგიას ხშირად ძლიერ უძნელდება, რადგან სამხკორები თავის დროზე არ გვაწვდიან მასალებს. სამხკორთა უმრავლესობამ პირდაპირ დაივიწყა თავისი მოვალეობა, რაც არა სასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასეთ პირობებში გაზეთის გამოცემა სისტემატიურად შეუძლებელი იქნება. ნაწილის მთელი შემადგენლობა და განსაკუთრებით ახალწვეულები აქტიურად უნდა ჩაებან გაზეთის გამოშვების საქმეში და სისტემატიურად მოგვაწოდონ კორესპონდენციები და წერილები ჩვენი ნაწილის აღმშენებლობის ყოველი დარგიდან.

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია.

## ყველაფრით კმაყოფილი ვართ.

მე-4 ტერ ლეგ. მე 5 ასეული.

ჩვენი ასეული ჩამოსვლისთანავე შეუდგა თავის საცხოვრებელ ბინის მოწყობას.

ერთი თვის განმავლობაში საუკეთესოთ იქნა მოწყობილი ჩვენი წითელი ყაზარმები.

გვაქვს ლენინის კუთხე, სამხედრო სამეცნიერო კუთხე, სამკითხველო, სამზარეულო, პირის საბანი ოთახი და ეზოში კი სხვა და სხვა სავარჯიშო იარაღები. წითელი არმიელები, მეცადინეობის გათავების შემდეგ არც ერთ წუთსაც არ კარგავენ ტყვილა უბრალოთ: ზოგი ლენინის კუთხეში მეცადინეობს, ზოგი სამკითხველოში კითხულობს წიგნებს და სხვა. მეთაურების ასეთი მზრუნველობა დიდ დაინტერესებას იწვევს არმიელებში და ისინიც ენერგიულად ეკიდებიან საქმეს. დისციპლინა ასეულში დამაკმაყოფილებელია.

სამხკორი ხატარია.

## არ გვივიწყებენ.

4-ე ლეგიონის 6-ე ასეული.

ჩვენს ათასეულს ამ რამოდენიმე დღის წინად ესტუმრა ათასეულის თავი, რომელმაც დაათვალიერა ნაწილი და გაიგო ყველა მისი საჭიროებანი. ამხანაგი დაწვრილებით ეკითხებოდა თითეულ წითელ არმიელს, თუ როგორ ცხოვრობს, ხომ არაფერი აკლია და არიან თუ არა საერთოდ ყაზარმული ცხოვრებით კმაყოფილი.

მან აღგვითქვა ყველაფერში საჩქარო დახმარება და თავისი მხრიდან მოგვცა შესაფერი დარიგებები, როგორც უფროსმა ხელმძღვანელმა.

ამხანაგის ასეთ მზრუნველობითი გამოკითხვამ და წითელი არმიელების ცხოვრებით დაინტერესებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე, რომლებიც ფიცს სდებენ, განსაკუთრებული ენერგიით შეუდგენ სამხედრო საქმის შესწავლას. კარგი იქნება ხშირად გვეწვეოდენ ასეთი სტუმრები.

წ. არმ. შ. ალავიძე.

## სამხკორის ხმა.

მეორე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში სამხკორები საკმაოთ მოიპოვებიან, რომელთა უმრავლესობას შეუძლია გაზეთებში თანამშრომლობა. მაგრამ აქ ჩვენთან ყველა სამხკორი არ ღებულობს მონაწილეობას სამხკორის მოვალეობათა შესრულებაში. გავა ორი-სამი თვე და სამხკორი ძლივს დასწერს ერთ კორესპონდენციას და მიაწვდის რედაქციას. ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როცა ლეგიონში საწერი მასალა მრავალია. მის ყოველდღიურ მუშაობაში ბევრია დადებითი და უარყოფითი მოვლენები, რომლებიც გაუშუქებელი რჩება გაზეთების ფურცლებზე.

ზოგიერთი სამხკორი, რომელიც ორ-სამ თვეში დასწერს ერთ კორესპონდენციას გაზეთისათვის, თავს იმით იმართლებს, რომ ვითომდა ის გზავნის წერილებს და რედაქცია არ ბეჭდავს და არც ფოსტაში აძლევდეს პასუხს. ჩემის აზრით ეს არ არის სწორი. რედაქცია თუ კი მიიღებს კარგ და შინაარსიან კორესპონდენციებს ყოველთვის დაბეჭდავს გაზეთში.

მომავალში ასეთ გულგრილობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს სამხკორთა შორის, თუ რომ სამხკორს სურს ატაროს სამხკორის სახელი, ის ვალდებულია სისტემატიურად სწერდეს კორესპონდენციებს გაზეთებში და აშუქებდეს ნაწილის ყოფა-ცხოვრებას. მას არ უნდა სჭირდებოდეს სხვისი მითითება წერილების დასაწერად. სამხკორს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მის წერილებს რედაქცია ყოველთვის ელის.

ჩვენი ნაწილის სამხკორო! ყველამ პირნათლად შეასრულეთ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა.

სამხკორი ვ. ღ.

## სამხედრო პროპაგანდა სოფლად ნაყოფიერად მიმდინარეობს.

4-ხე ლეგ. 9 რე ასეული.

ჩვენი ასეულის მეთაურები ძალიან ხშირად დაიარებიან ახლო-მახლო სოფლებში, იკრებენ გარშემო სოფლის მშრომელ გლეხობას და ესაუბრებიან მათ სხვა და სხვა საკითხებზე. უმთავრესი ყურადღება ექცევა სამხედრო საქმეს, რომელსაც სიამოვნებით ისმენენ გლეხები. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ გრძელ ვადიან შვებულებაში გაშვებული ყოფილი წითელ არმიელებიც. მათ ხალხი დიდის ხალისით უსმენს. თუ ასე გაგრძელდა და ხელი არ შეგვიშალა რაიმემ, ჩვენ მალე შევსძლებთ გავაცნოთ გასამხედროების იდეის და მის მნიშვნელობას ადგილობრივი გლეხთა ფართო მასები.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## როგორ გავისტუმრეთ გრძელვადიან შვებულებაში.

შეივსო თუ არა ჩვენი ნაწილი ახალწვეულებით ძველი წითელარმიელები იმ დღიდანვე შეუდგენ მზადებას სახლში წასასვლელად.

მთელი უფ-მედ-პოლიტ შემადგენლობა ფეხზე იდგა. ყველას განსაკუთრებული დავალება ჰქონდა გაცილებასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი წითელარმიელები, რომლებმაც ჩვენთან ერთად გაატარა თითქმის ორი წელიწადი, უკმაყოფილო არ დაბრუნებულიყო სახლში. ამის გამო დივ-ლაზარეთის თანამშრომელთა მიერ მოწვეულ იქნა საგანგებო თათბირი, სადაც გამომუშავებულ იქნა გეგმა თუ როგორ ჩაგვეტარებინა გაცილება და წით. არმიელების ასტუმრება გრძელვადიან შვებულებაში.

უპირველეს ყოვლისა წითელ არმიელთა შორის ჩატარებულ იქნა სამი საგანგებო საუბარი, სახელდობრ: 1. სანიტარული პროპაგანდა სოფლათ და მისი მნიშვნელობა, 2. რა უნდა აკეთოს შვებულმა სოფლათ. საუბრებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ შვებული წითელარმიელებიც.

18 ნოემბერს კი შესდგა საზეიმო სხდომა. გამოსათხოვარი სიტყვით გამოვიდა დივლაზარეთის სამხკომი, რომელიც ვრცლად შეეხო შვებულთა მუშაობას სოფლათ. შემდეგ გამოვიდა ამხ. ხუხუნაიშვილი, რომელმაც აღნიშნა სანიტარული მუშაობა და მისი მნიშვნელობა სოფლად. ბოლოს ამხანაგმა მოუწოდა მიმავალთ, რომ ღირსეულათ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. კრებაზე დამსწრე ახალწვეულებს კი უსურვა, რომ იმათაც მიეღოთ სათანადო ცოდნა წითელ არმიაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში და კარგად მომზადებული დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სოფლებში.

კრების დასრულების შემდეგ გაშვებული იქნა კინო-სურათი და სამი აგიტ-პიესა: „რევოლიუციონერი", „სულის მამა" და „შეშინებული ანთიმოზი", რითაც დამსწრენი ძლიერ კმაყოფილი დარჩენ.

19 ნოემბერს კი გაიმართა სადილი შვებულთათვის. დაურიგდათ მათ საბუთები, ლიტერატურა და სხ. შვებულები გავისტუმრეთ ზეიმით.

სამხკორი ლენკუთხელი.

## კლუბის მუშაობა მოისუსტებს.

ქართ. მეთაურთა სკოლა.

სკოლაში მეცადინეობა კარგად არის დაყენებული.

ვსწავლობთ ლაბორატორიული მეთოდით. სამოსწავლო წიგნები ყველა საგნებში საკმაოდ მოგვეპოვება, მაგრამ სამწუხაროდ უმრავლესობა რუსულად არის და მათი მოხმარება კი ცოტა არ იყოს ძლიერ გვეძნელება, ენის უცოდინარობის გამო. ამის გარდა, წიგნები დაუკინძავია და ხშირი ხმარებისაგან ადვილად ფუჭდება, რასაც საჩქაროდ უნდა მიექცეს ყურადღება.

ლაბორატორიული მეცადინეობის გარდა, ოთხშაბათობით ჩვეულებრივ მუშაობის შემდეგ გვეწყება პარტგანათლებაზე ლექციები. აქ დაწვრილებით გვიხსნიან პარტიისა და კომკავშირის ამოცანების და მათ წარსულ მუშაობას.

სკოლაში კლუბიც გვაქვს, რომელიც მიუხედავად დაპირებებისა დღემდე არ მოუწყვიათ ისე, როგორც მოითხოვს საჭიროება.

კინო სურათები კი მიდის კვირაში ერთხელ, მხოლოდ სხვა არაფერი გაკეთებულა. დროა ამ დაპირებებსაც მოეღოს ბოლო და კლუბი შესაფერის მოწყობასთან ერთად ამუშავდეს.

სამხკორი ალ. ჯინჯეროული.

## ჩვენი შვებული წ. არმიელები სოფლად.

მე 4 ლეგ. მე 6 ასეული.

ლეგიონის ასეულიდან გრძელვადიან შვებულებაში მივლინების დროს მრავალი რამ დაგვავალეს სოფლად ნაყოფიერი მუშაობის საწარმოებლად.

პირველ ხანებში ვერ შევსძელით ამ დავალებების სისრულეში მოყვანა, მაგრამ როგორც კი მოვრჩით ჩვენი ოჯახების საქმეებს, ენერგიულად მოვკიდეთ ხელი მუშაობას. სოფ. ღარის (რაჭაში) ახკომკავშირთან შეთანხმებით დავაარსეთ თვიური კედლის გაზეთი.

გადავწყვიტეთ აგრეთვე სოფლის ქვრივ ობლებისათვის საზამთროდ შეშის მოჭრა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

ჩავატარეთ ფასიანი წარმოდგენა, რომლის შემოსავალი მოვახმარეთ შრომის უნარ დაკარგულ გლეხებს, ნაწილი რემედასის სასარგებლოდ გადავსდევით და ნაწილითაც გამოვიწერეთ გაზ. „ახალი სოფელი".

13 ნოემბერს თემის ყველა ტერ რწმუნებულები შევიკრიბეთ ქალაქ ონში, სადაც ასეულის პოლიტხელმა გაგვაცნო მომავალი ჩვენი მუშაობის გეგმა სოფლად და დაგვირიგა ჟურნალ-გაზეთები და ბროშიურები.

შვებული წითელ არმიელები ენერგიულად ეკიდებიან ყველა დავალებების შესრულებას, რაც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს გლეხებში.

ვალ. ჯაფარიძე.

## მიაქციეთ ყურადღება.

1-ლი არტლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის ყაზარმები მოთავსებულია მაღლობ ადგილზე, მაგრამ ეზოს არა აქვს გარშემო შემოვლებული ისეთი ზღუდე, რომელიც ხელს შეუშლიდა ჩვენთან თავისუფალი მოქალაქეების სიარულს და სეირნობას. ეს გარემოება ხშირად გვიშლის ხელს მეცადინეობასა და სხვა სამხედრო წესების შესრულებაში.

საჭიროა ყურადღება მიაქციონ ლეგიონის მესვეურებმა ამ მოვლენას და სათანადო ბრძანებით ან რაიმე საშვალებით ბოლო მოუღონ ლეგიონში თავისუფალი ხალხის სიარულს.

წ. არმ. შრაპნელი.

## შეუდექით მუშაობას.

ცხენ. ლეგ. ახალწვეულები.

დიდი ხანი არ არის, რაც მტრების დამარცხება.

კარანტინიდან გადაგვიყვანეს ყაზარმებში, მაგრამ აქაური ცხოვრება, საერთო წესები და დისციპლინა უკვე შეთვისებული გვაქვს. თითეული ახალწვეულის სურვილია რაც შეიძლება ენერგიულად იშრომოს და მეტი სამხედრო და კულტურულ პოლიტიკური განვითარება შეიძინონ წითელი ჯარის რიგებში ყოფნის დროს, რათა ადვილათ შევსძლოთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ყველა

ჩვენს ასეთ სურვილს, ხელს უწყობს კარგი, თავისი საქმის მოყვარული მეთაურისა და პოლიტხელმძღვანელების ყოლა, რომლებიც ყოველთვის ჩვენთან არიან, გვესაუბრებიან და გვასწავლიან. იმედი გვაქვს სულ მალე შევიძენთ საჭირო განვითარება.

გაუმარჯოს ჩვენი—ახალწვეულებისა და ჩვენი ხელმძღვანელების ნაყოფიერ მუშაობას!

ახალწვეული პ. ნ—ლი.

# ახკომკავშირელთა შორის.

### ქართ. ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონის 1-ლ ესკადრონში ახკომკავშირელთა და პარტ-კანდიდატების რიცხვი დაახლოვებით აღწევს 50—60 კაცამდე.

კავშირის კრებები იწვევა ყოველ კვირაში ერთჯერ. უჯრედებს ხელმძღვანელობენ საკმაოდ მომზადებული ორგანიზატორები, რომლებიც აწარმოებენ მეცადინეობას ყოველ სადამოობით და აგრეთვე თავისუფალ საათებშიც. საერთოდ ეტყობა, რომ ესკადრონი გამოუშვებს პოლიტიკურად საკმარისად მომზადებულ წითელ არმიელებს.

გარდა ამისა ესკადრონში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები როგორც მაგალითად: პოლიტიკური, ლიტერატურული, დრამატიული და სხვა. მოგვდის შემდეგი გაზეთები: „წითელი არმიელი“, „კომუნისტი“ და „ახალი სოფელი“, რომლებსაც წითელ არმიელები ყოველთვის დიდი ინტერესით კითხულობენ.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

### პირველი არტლეგიონი.

20 ნოემბერს ლეგიონში შესდგა ახალწვეულ კომკავშირელების გაერთიანებული კრება, კავშირის რაიონულ კონფერენციისათვის დელეგატების ამოსარჩევად. კრებას მრავლად დაესწრენ ამხანაგები, რადგან ახალწვეულებიდან ძალიან დიდი პროცენტია ახკომკავშირის წევრები. კრებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ბიურო კოლექტივის მდივანი ამხ. მამალაძე და ლეგიონის ჯგუფის ორგანიზატორი, რომლებმაც განმარტეს კონფერენციის მიზანი და მოუწოდეს ამხანაგებს სერიოზულად მოეკიდონ არჩევნებს.

კრებამ კონფერენციისათვის ამოირჩია შვიდი დელეგატი.

ახლად მოსული კომკავშირელები დიდ ენერგიას იჩენენ და გულმოდგინეთ ეკიდებიან ყველა საჭირო ცოდნის შეძენის საქმეს.

სამხკორი შ. ბურკაძე.

# გამოასწორეთ ნაკლულევანებანი.

### კიდევ ბატონო.

### 3-ე ლეგიონი.

მესამე ლეგიონის შტაბის გადამწერები კიდევ ვერ გადასჩვევიან „ბატონოს“ ხმარებას. თავის უფროსებს ყოველთვის „ბატონოთი“ მიმართავენ. შტაბში შესული ახალწვეულები განცვიფრებული რჩებიან ამხ. ასეთი საქციელით. ყაზარმაში მათ უხსნით და მოუწოდებთ ამ სიტყვის გადაგდებისაკენ. შტაბში კი ისევ ესმით. დროა ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო ამხანაგების ასეთ საქციელს.

სამხკორი ფიტო.

### უყურადღებოთ ვართ.

### მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.

ტერშეკრების დამთავრების შემდეგ ჩვენი ასეულიც გაემგზავრა თავის წერტისაკენ. წასვლის წინ ასეულის ბიბლიოთეკამ ყველა წიგნები გადააბარა ლეგიონის ბიბგამგეს, რომელიც შეგვპირდა ნაცვლად ჩაბარებულისა ახალი წიგნების გადმოგზავნას, აგერ ორი თვე სრულდება მას შემდეგ რაც ჩამოვედით, ჯერ კიდევ არაფერი მოგვსვლია. ნეტავ ხომ არ დავავიწყდით ლეგბიბგამგეს?

დროა მოგვაწოდოს ახალი წიგნები.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

### პური გამოუმცხვარი გვეძლევა.

### ცხენ. ლეგიონი.

ეს რამოდენიმე დღეებია, რაც ლეგიონში გვირიგდება სანახევროთ ცომი პური. წითელ არმიელები ხშირად მშიერი რჩებიან, ზოგიერთი იძულებულია მაინც ჭამოს, რასაც ადვილი შესაძლებელია მოყვეს რაიმე ავადმყოფობა ნაწილში. საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ამ მოვლენას და მოგვაწოდონ გამოშუშებული პური.

სამხკორი სტურუა.

### თავხედი კურსანტი.

### მე-3 ლეგ. სკოლა.

ლეგსკოლაში არის ერთი კურსანტი სიჭინავა, რომლის თავხედობას საზღვარი არა აქვს. ყველას უყვირის, ყველა ამხანაგებს მუშტით ემუქრება და აშინებს. სიტყვის შებრუნება ვერვის გაუბედავს მისთვის. ხშირად როდესაც კურსანტები საუბრობენ სამკითხველოში ან ლენკუთხეში ისიც მიდის და ხელს უშლის მათ. თუ ვინმე რაიმემ უთხრა ის ჯიუტობს და უარესს სჩადის.

დროა ყურადღება მიაქციონ ამ ამხანაგის თავხედობას და ასწავლონ ჭკუა.

ბალხ—ხ.

# ახალი ამბები.

— ტფილისის საფონდო ბირჟამ წ.-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის გასაძლიერებლათ „წერკუმ“-ს გადასცა 500 მანეთი.

— საბავშვო ამბულატორია ტფ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას განზრახული აქვს მიმდინარე წელს გახსნას საბავშვო ამბულატორია.

— შრომის სახ. კომისარიატმა ბათომში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობათ დახარჯა 11.965 მანეთი.

— უმუშევრობა. 1 ოქტომბრისათვის მთელ საქართველოში ირიცხებოდა 15.415 უმუშევარი.

— ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი საქ. სას.-სამეურნეო ბანკისთვის იძენს 400 ათასი მანეთის სას.-სამ. იარაღებს.

— ტყავის ტრესტი შეუდგება საკუთარ ქარხნების ახალ ტეხნიკის მიხედვით მოწყობას.

ამბ სოფ.

# ამბები სოფლებიდან

**ტელეფონი ოსეთში.** სამხ.-ოსეთის ცაკმა დაადგინა დაჩქარებით შეუდგეს სოფლებს შორის ტელეფონის ქსელის მოწყობას.

**სვანეთის ალმასკომმა** ფაბ-ქარხკომების სკოლებში სასწავლებლათ გაგზავნა 5 გლეხის შვილი თავისი ხარჯით.

**ვენერიულ სენთან ბრძოლა** ჯანსახკომი ხსნის ვენერიულ კაბინეტებს გორში, ლიუქსენბურგში, ცხინვალში და ონში.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### საით მიემართება ჩვენი მზის სისტემა.

(გაგრძელება)

ვარსკვლავების საკუთარი მოძრაობა, ბუნებრივად გამოყოფილი იქნა საერთო განხილვისაგან, რადგან მისი გამორკვევა სისწორით შეუძლებელია; ეს იმიტომ, რომ მეცნიერები ძლიერ ცუდათ იცნობენ მათ (ვარსკვლავებს). დაშვებული იქნა, თითქოს ვარსკვლავების ნამდვილი მოძრაობა ერთნაირი იყოს ყოველი მიმართულებით. შემდეგ დაიწყეს ზოგიერთ ვარსკვლავთა მოძრაობის სისწორით განხილვა. აქედან გამოირკვა, რომ ცის თაღზე ორ ადგილას ვარსკვლავებს აქვთ მოჩვენებითი მოძრაობა. ერთ ასეთ ადგილზე ვარსკვლავები თანდათან სცილდებიან ერთმანეთს. მაშასადამე, როგორც ზევით მოყვანილი მაგალითიდან სჩანს (რკინის გზის ლიანდაგის შესახებ), მზის სისტემის მოძრაობის მიმართულება ამ ადგილისაკენაა, რომელსაც ეწოდება „აპექსი“ და იმყოფება ჰერკულესისა და ლირის ვარსკვლავთა კრებულის საზღვარზე. (ჰერკულესი და ლირა არიან ვარსკვლავთა კრებულები. მეცნიერებას ვარსკვლავთა შესწავლის გასაადვილებლად, ცის თაღზე, დაყოფილი აქვს ყველა ვარსკვლავები ჯგუფებად. თითეულ ჯგუფს აქვს თავის საკუთარი სახელი. ჰერკულესი და ლირაც ეკუთვნიან ამ კრებულთა რიცხვს). ამ წერტილთან ან „აპექსის“-თან ახლოს იმყოფება მეოთხე სიდიდის ვარსკვლავი, ვარსკვლავთა კრებულ ლირიდან. (თვისი სინათლის სიძლიერის მიხედვით, მეცნიერებამ ვარსკვლავები დაანაწილა სხვა და სხვა სიდიდის ვარსკვლავებათ. მაგალითად: ყველაზე უფრო ნათელი ვარსკვლავი იქნება პირველი სიდიდის და ასე შემდეგ).

**ერთნაირი სიჩქარით მოძრაობენ დედამიწა და მის გარშემო მყოფი ატმოსფერა თუ არა?**

ატმოსფერა ეწოდება ჰაერს და მასში მყოფ ყველა შემადგენელ ნაწილებს: ღრუბლებს და სხვა. დედამიწა როგორც ვიცით გვრალია და ტრიალებს თავის ღერძის—თავისი თავის გარშემო. მასთან ერთად ტრიალებს ის ატმოსფერაც, რომელიც მას აკრავს ირგვლივ.

როგორც ამბობენ ატმოსფერის სისქე დედამიწიდან—ზევით, აღწევს 100—200 ვერსამდე. ცხადია ატმოსფერა ისეთივე სიჩქარით უნდა მოძრაობდეს, როგორც დედამიწა თავისი ღერძის გარშემო, მაგრამ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ 12 ვერსის სიმაღლის ზევით, ატმოსფერის მოძრაობა თანდათან უფრო ნელდება და ნაკლებია დედამიწის მოძრაობის სიჩქარეზე მისი ღერძის გარშემო.

# პასუხი შეკითხვებზე.

**წ. ა. ნაყეურს.** მამის სიკვდილის შემდეგ ქონება გადადის შვილებზე. აქედან ცხადია, რომ დარჩენილი ქონება როგორც თქვენს ძმას, ისე თქვენც გეკუთვნით.

**შუტუს.** ნაციონალურ ენაზე მეცადინეობის წარმოება იმას ნიშნავს, რომ ქართულ ჯარში მეცადინეობა სწარმოებს ქართულად და სხ.

**გოგიშვილს.** ტერნაწილში გადარიცხვა დაგვიანებულია. თქვენს ოჯახს უნდა დაეხმაროს ალმასკომი.

**კაკაურიძეს.** თუ შეცდომით ხართ გაწვეული, უნდა მიმართოდ თქვენი უფროსის საშუალებით მთავარ მიმღებ კომისიას.

**თევზაძეს.** თქვენ გამოუწვევიხართ 1903 წ. დაბადებულებთან ერთად და ამიტომ უნდა იმსახუროთ მათთან ერთად, ე. ი. ორი წელიწადი ქვეითა ჯარში.

**გაგუას.** სამსახური გეთვლებათ იმ წლიდან, რომელ წელშიაც გაგვიწვიეს სამხედრო სამსახურში.

**კ. ზარნაძეს.** შეღავათებისთვის მიმართეთ თქვენს უფროს.

**ამაშუკელს.** თუ დაუქირავებელ შრომის გარეშე მუშაობა სწარმოებს თქვენს ერთ თვალ წყლის წისქვილში, მაშინ გადასახადისაგან თავისუფალია, როგორც წ. ა. კუთვნილი.

**ი-შვილს.** როგორც წ. არმიელს სამხედრო ბეგრის მოხდის შემდეგ პირველ რიგში უნდა მოგეცეთ სამსახური, სადაც ასეთი თავისუფალი იქნება.

**დ. უხურგუნაშვილს.** საშუალო ცოდნა თუ გაქვთ აუცილებლად დაშვებული უნდა იქნეთ საშუალო მეთაურის გამოცდებზე.

**მუ—რს.** განთავისუფლების შესახებ თავის დროზე იქნება ბრძანება. ზედმეტ მსახურათ დარჩენის შესახებ უნდა მიმართოდ თქვენს უფროსს.

**ლ—იას.** სკოლაში მივლინების შესახებ შუამდგომლობა უნდა აღძრათ უფროსის წინაშე.

**წ. არმ. ბ—ძეს.** შეღავათებით უსარგებლობისათვის კომპესაცია არ მოგეცემათ („Красная звезда“-ს ცნობარი № 81).

**ლალიაშვილს.** გადამწერლები ჯამაგირს გათვალისწინებული შტატით ღებულობენ.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. რ. ქირს.** (მეთაურთა სკოლა) თქვენი წერილი: „ახკომკავშირთა შორის“ არ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე.

**ამხ. ბაძგნერელს.** (მე-2 ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია: „ლირსია წითელ ჯარში გაჩერება?“ გადაეცა პირველ დივიზიის პოლიტგანყოფილებას.

**ამხ. ჭკადუას.** (მე-3 ლეგ.). თქვენი პასუხი ამხ. ბორშოიძისადმი არ დაიბეჭდება.

**ამხ. გ. ჰალელს.** (მე-3 ლეგ.). კორესპონდენცია: „მიაქციეთ ყურადღება“. არ გავა. ნაწილის კოოპერატიულ დუქნებში მანუფაქტურა არაა საჭირო. აუცილებელი საგნები კი როგორც იწერებით ყოფილა. მეთაურებს კოოპერატივის მთავარ მაღაზიაშიაც შეუძლიათ მანუფაქტურის შეძენა.

**ამხ. ჩიხლაძეს.** (მე-4 ლეგ.). თქვენი წერილი ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების შესახებ, ძლიერ დაგვიანების გამო არ დაიბეჭდება.

**ამხ. ამხ. იმერლიშვილს** (მე-4 ლეგ.) და გაჭირვებულ წითელ არმიელს. თქვენი წერილები: „ჩვენი კომუჯრედი“ და „1902 წ. დაბადებულების თხოვნა“, არ გამოდგა.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მე-2 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) დოლიძე ალექსანდრე მაქსიმეს-ძეს, (ოზურგეთის მაზრის მცხ. გლეხი, უპარტიო) და 2) ღვინიაშვილი გიორგი მიხეილის-ძეს (სიღნაღის მაზრის მცხ. გლეხი უპარტიო.)

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათი კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ რვა დღის განმავლობაში.

ქართულ გაერთ. მეთ. სამხ. სკოლის მე-2-ე ასეულის კომუჯრედის ბიურო.

# განცხადება.

წითელ არმიის და ფლოტის სახლთან არსდება საგარნიზონო სიმებიანი ორკესტრი ორ განყოფილებით: 1-ლი ევროპიული და 2 აღმოსავლეთის მუსიკა.

თვითეულ განყოფილებისათვის დაარსებულ იქნება ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში მიიღება სიმებიან ორკესტრის მცოდნე პირები, მხოლოდ მეორეში კი—არამცოდნეები ან პირველ დაწყებით ცოდნით.

ჩაწერა სწარმოებს წითელ არმიის და ფლოტის სახლის კომენდანტთან ამხ. პოლიაკოვთან კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 7—10 საათამდე. მისამართი: კალინინის ქ. № 51 (ყოფ. ნიკოლოზის ქ.) სამხედრო მოსამსახურეთა ჩაწერა სწარმოებს ნება-ყოფლობით საფუძველზე უკანასკნელის მიერ ამორჩეულ განყოფილებაში.

წ. ა. ფ. ს. პარტ-პოლიტ-განათლების საბჭოს

პ. მ. მდივნის მაგ. დ. ჭანტურიშვილი.

ნ. დ. ს. ც.

ამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.